გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ"
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება;

ბ) კანონპროექტის მიზანი

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცება;

გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით განისაზღვრება 2019 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლები. 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - **„თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა"** შესრულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

პროექტის ძირითადი პარამეტრების შემუშავებისას გათვალისწინებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის (EFF-გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი) ძირითადი პრინციპები, რაც გულისხმობს მიმდინარე ხარჯების ზრდის შეზღუდვას, საბიუჯეტო დეფიციტის ეტაპობრივ შემცირებას და არსებული რესურსის მიმართვას ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. აღსანიშნავია რომ პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებამ შესაძლებლობა მოგვცა სატრანზიტო და ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოგვეზიდა მნიშვნელოვანი რესურსები, რომელთა ათვისება გათვალისწინებულია ჩვენს საშუალოვადიან ბიუჯეტში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (2019-2022).

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

მთლიანი შიდა პროდუქტი

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში და მომავალი წლისთვის სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზები როგორც საქართველოს, ასევე რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ტენდენციების შესახებ. მიმდინარე წელს ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებთან დაკავშირებით ინფორმაცია ვრცლად არის წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის თანდართულ მასალებში (2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა). აღსანიშნავია, 2018 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია ეკონომიკური ზრდის 4,5%-იან მაჩვენებელზე, თუმცა სტატისტიკის სამსახურის წინასწარი მონაცემებით მიმდინარე III კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 4%, 9 თვის მონაცემებით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შეადგენს 4.9%-ს.

მიმდინარე წლის ოქტომებრში საქართველოში იმყოფებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, რომელთან ერთადაც გაანალიზებულ იქნა ეკონომიკური ზრდის ტენდენციები საქართველოსა და რეგიონის ქვეყნებში, რის შემდგომაც ფონდამ ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2018 წელს გაზარდა 5,0%-მდე, ხოლო 2019 წლისთვის 4,6%-ით განსაზღვრა. საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი გაზარდეს სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმაც.

მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ბიუჯეტის დაგეგმვა განხორციელდეს შედარებით კონსერვატიულ პროგნოზებზე, ვინაიდან ზოგიერთ ჩვენს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებმა შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს საგარეო მოთხოვნაზე, რაც რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება ჩვენი საქონლისა და მომსახურების ექსპორტზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან, რომელმაც პროგრამის მიმოხილვა მიმდინარე წლის ოქტომბერში დაასრულა შეთანხმდა ძირითადი პარამეტრები 2019 წლისათვის:

- ეკონომიკური ზრდა - 4,5%;
- მშპ-ს დეფლატორი - 3,5%;
- ინფლაცია - 3,0%;
- საბიუჯეტო დეფიციტი - 2,6%.

მომდევნო წლებში ეტაპობრივად იზრდება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და 2020 წელს შეადგენს 5,0%-ს, 2021 წელს 5,5%-ს, ხოლო 2022 წელს 6,0%-ს.

მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 2018 წელს შეადგენს 4.5%-ს, 2019 წელს 3,5%-ს, ხოლო მომდევნო წლებში განსაზღვრულია 3,0%-ის ოდენობით. რაც შეეხება ინფლაციის მაჩვენებელს, აღნიშნული პროგნოზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის ფარგლებში და შეადგენს 3,0%-ს.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, იზრდება 2018 წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელიც და შეადგენს 41,7 მლრდ ლარს. 2019 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 45.1 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2022 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 57,9 მლრდ ლარამდე.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადამუშავებულ ვერსიაში:

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები პირველ წარდგენასთან შედარებით იზრდება 357.0 მლნ ლარით, მათ შორის:

- გადასახადები - 80 მლნ ლარით;
- გრანტები - 102 მლნ ლარით, ძირითადად ევროკავშირთან არსებული საიუჯეტო დახმარების ფარგლებში;
- კრედიტები - 145 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო დახმარება 90 მლნ ლარით;

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პირველ წარდგენასთან შედარებით იზრდება 268.0 მლნ ლარით, მათ შორის:

- სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის 50 ლარის ღირებულების პაკეტის გასაცემად (20 ლარიანი ფულადი დახმარება + 30 ლარიანი კვების ვაუჩერი) - 70 მლნ ლარი;
- თავდაცვის სამინისტროს აღჭურვისთვის - 92 მლნ ლარი;
- საკრედიტო საგარანტიო სქემის ასამოქმედებლად მეწარმეობის განვითარების პროგრამას ემატება 10 მლნ ლარი და ჯამურად ამ მიმართულებით 20 მლნ ლარი იქნება გათვალისწინებული;

- იზრდება გაზიფიცირების პროგრამის ბიუჯეტი 10 მლნ ლარით და ჯამურად რეგიონებში გაზიფიცირებისათვის გაიხარჯება 40 მლნ ლარი;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის პროგრამების დაფინანსება იზრდება 34 მლნ ლარით, მათ შორის ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის 10 მლნ ლარი;

შემოსულობების და გადასახადელების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოადგენილია განმარტებით ბარათში.

საგადასახადო შემოსავლები

არსებული მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით, 2018 წელს მოსალოდნელია საგადასახადო შემოსავლების გადაჭარბებით შესრულება, შესაბამისად, განახლებული პროგნოზი შეადგენს 10 500,0 მლნ ლარს. 2018 წლის განახლებული პროგნოზიდან არის გაანგარიშებული 2019 წლის მაჩვენებელიც, რომელიც მშპ-ს 25.0%-ია და ნომინალურ გამოხატულებაში შეადგენს 11 280,0 მლნ ლარს, მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 416.0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 3 166.0 მლნ ლარს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების წილი 250,0 მლნ ლარს;

  გაანგარიშებაში გათვალისწინებულია რომ მიმდინარე წელს საშემოსავლო გადასახადი გადაჭარბებით შესრულდება და მიაღწევს 3 200,0 მლნ ლარს. აღნიშნული მაჩვენებლის და 2019 წელს ნომინალური ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით არის გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადის 2019 წლის პროგნოზი, ასევე გათვალისწინებულია საპენსიო რეფორმის და მიმდინარე წლის მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების (1%-იანი გადასახადი მცირე ბიზნესისთვის) ეფექტი.

- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 781.0 მლნ ლარით;

  გაანგარიშებაში გათვალისწინებულია რომ მიმდინარე წელს მოგების გადასახადი გადაჭარბებით შესრულდება და გადააჭარბებს 720,0 მლნ ლარს. აღნიშნული მაჩვენებლის და 2018 წელს ნომინალური ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით არის გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადის 2019 წლის პროგნოზი.

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 982.0 მლნ ლარით;

  გაანგარიშებაში გათვალისწინებულია რომ მიმდინარე წელს დღგ გადაჭარბებით შესრულდება და მიაღწევს 4 500,0 მლნ ლარს. აღნიშნული მაჩვენებლის და 2019 წელს ნომინალური ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით არის გაანგარიშებული დღგ-ს 2019 წლის პროგნოზი, ასევე გათვალისწინებულია იმპორტის ზრდა 10,0%-მდე.

  აღსანიშნავია, რომ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად საბიუჯეტო კოდექსში და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად მუნიციპალიტეტებში მიიმართება დღგ-ს 19,0%, რისი გათვალისწინებითაც წინა წლებისგან განსხვავებით დღგ-ს მნიშვნელოვანი ნაწილი მიიმართება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებებით გათვალისწინებული ფორმულის მიხედვით.

  ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დღგ-ს მთლიანი მოცულობიდან სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 4 036,0 მლნ ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტების წილი 946,0 მლნ ლარს;

- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 462.0 მლნ ლარის ოდენობით;
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 83.0 მლნ ლარით;
- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 117.0 მლნ ლარით;
- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 439 მლნ ლარით'

ამასთან, 2019 წელს აქტიურად გაგრძელდება წინა წლებში წარმოქმნილი ზედმეტად გადახდილი გადასახადების (ძირითადად დღგ) დაბრუნების პროცესი და მოსალოდნელია რომ 2019 წელს დაბრუნდება 400,0 მლნ ლარზე მეტი.

საბიუჯეტო დეფიციტი

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფიციტი (რომელიც ეყრდნობა GFSM 2001 კლასიფიკაციას) 2019 წელს ნაერთი ბიუჯეტისათვის შეადგენს მშპ-თან მიმართებაში 2%-ს, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარლებში ფისკალური ჩარჩოს ინდიკატორად გამოიყენება მოდიფიცირებული დეფიციტი, რომელიც GFSM 2001 კლასიფიკაციისგან განსხვავებით ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსაც განიხილავს, როგორც დეფიციტის ფორმირების წყაროს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, 2019 წლის დეფიციტი განისაზღვრება მშპ-თან მიმართებაში 2.6%-ის ფარგლებში ხოლო 2020 წლიდან შემცირდება 2.5%-მდე. ამასთან, აღსანიშნავია რომ დამატებით მიმდინარეობს მუშაობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის დახვეწასა და GFSM 2014 მეთოდოლოგიის შესაბამისად ჩამოყალიბებაზე, რომელიც უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის ბოლომდე და ახალ კლასიფიკაციაში უფრო მკაფიოდ იქნება გაწერილი რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სახაზინო ოპერაციების ასახვა ფინასნური აქტივების ზრდის მუხლში.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტით პირველად მოხდა საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრების განსაზღვრა, რაც ნაერთ ბიუჯეტთან ერთად ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან განხორციელებული ოპერაციების შედეგებს. საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფით მთლიანი სალდო პროგნოზირებულია 1 011.3 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 2.2%-ია. IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მეთოდოლოგიის მიხედვით აღნიშნული დეფიციტი შეადგენს მშპ-ის 2.8%-ს.

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ტენდენციები

მიმდინარე ხარჯების ოპტიმიზაციის პროცესი კვლავ გრძელდება და პენსიების ზრდისა და სოციალურად დაუცველის ბავშვების დახმარებისათვის 280 მლნ ლარის გამოყოფის მიუხედავად, შენარჩუნებულია მიმდინარე ხარჯების კლებადი ტენდენცია, როგორც 2019 წელს, ასევე 2020-2022 წლებში, კერძოდ 2019 წელს მცირდება მშპ-ის 22.8%-მდე (2018 წელს 23.0%), ხოლო 2022 წლისათვის შემცირდება 21.0%-ზე დაბალ ნიშნულზე.

პარალელურად მთავრობის საშუალოვადიან ჩარჩოში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე მისამართი სახსრების მობილიზება ხორციელდება და ნაერთი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით 8%-ზე მეტი მიიმართება. 2019 წელს კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად ნაერთი ბიუჯეტიდან 3,7 მლრდ ლარზე მეტი მიიმართება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** საპროგნოზო მაჩვენებელი 12 968.5 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 356.9 მლნ ლარით, მათ შორის:

- **შემოსავლები - 10 473.5მლნ ლარი (191.8 მლნ ლარით აღემატება პირველ ვერსიას);**
    - საგადასახადო შემოსავლები - 9 645.0 მლნ ლარი (მშპ-ს 21.4%), მათ შორის:
        - საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 166.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 7.0 პროცენტს შეადგენს;
        - მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 781.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 1.7 პროცენტია;
        - დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 036.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 9.0 პროცენტს შეადგენს;
        - აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 462.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 3.2 პროცენტს შეადგენს;
        - იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 83.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.2 პროცენტს შეადგენს;
        - სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 117.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.3 პროცენტს შეადგენს.
    - გრანტები - 368.5 მლნ ლარი, მათ შორის საბიუჯეტო გრანტები 212.0 მლნ ლარი, საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები 96.5 მლნ ლარი, ხოლო ბიუჯეტის პროექტის 35-ე მუხლის შესაბამისად სსიპ-ების მიერ მიღებული შემოსავლებიდან ბიუჯეტში გადმოსარიცხი გრანტები 60,0 მლნ ლარის ოდენობით;
    - სხვა შემოსავლები 460.0 მლნ ლარი.
- **არაფინანსური აქტივების** კლების სახით მისაღები თანხების გეგმა განსაზღვრულია 70.0 მლნ ლარის ოდენობით;
- **ფინანსური აქტივების კლების** მაჩვენებელი განისაზღვრა 120.0 მლნ ლარის ოდენობით;
- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრების გეგმა განსაზღვრულია 2 305.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულებების ზრდა – 500,000.00 ათასი ლარის ოდენობით;
    - სოციალური კეთილდღეობის პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები – 105 000.0 ათასი ლარის ოდენობით;
    - საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები – 75 000.0 ათასი ლარის ოდენობით;
    - ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარების პროგრამიდან (MFA) (EU) მისაღები სახსრები – 60 000.0 ათასი ლარის ოდენობით;

- საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მისაღები სახსრები – 145 000.0 ათასი ლარის ოდენობით;

- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები – 1 420.0 მლნ ლარის ოდენობით.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ბიუჯეტში სახელმწიფო ვალის დაფარვისთვის გათვალისწინებულია 930,0 მლნ ლარი, სახელმწიფო ვალის წმინდა ზრდა შეადგენს 1 375,0 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 12 997.6 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 11 481.1 მლნ ლარს, გრანტები - 96.5 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები - 1 420.0 მლნ ლარს. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით ასიგნბები გაზრდილია 267.9 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში ზრდა შეადგენს 212.9 მლნ ლარს, ხოლო საინვესტიციო კრედიტების ნაწილში 55 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა იზრდება 142.4 მლნ ლარით და შეადგენს 9 421.5 მლნ ლარს, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 1 469.6 მლნ ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 1 216.8 მლნ ლარი;
- პროცენტი - 624.0 მლნ ლარი;
- სუბსიდიები - 419.6 მლნ ლარი;
- გრანტები - 454.7 მლნ ლარი;

  აღნიშნული თანხიდან 280,0 მლნ ლარი გათვალისწინებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის, 20,0 მლნ ლარი - მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის, 28,7 მლნ ლარი მუნიციპალიტეტების მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერებისთვის, ხოლო 58,5 მლნ ლარი სსიპ-საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის.
- სოციალური უზრუნველყოფა - 3 847,8 მლნ ლარი;
- სხვა ხარჯები - 1 389.1 მლნ ლარი.

  აღნიშნულ თანხაში 266.8 მლნ ლარი გათვალისწინებულია კაპიტალური ხარჯებისთვის, ხოლო 1 122,2 მლნ ლარი მიმდინარე ხარჯებისთვის, რომელთა შესახებაც დეტალური ინფორმაცია მოცემულია პროექტის თანდართულ მასალებში.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული ასიგნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაიზარდა 142.1 მლნ ლარით და შეადგინა 2 224.4 მლნ ლარი, ხოლო **ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით** გამოყოფილია - 417.8 მლნ ლარი;

არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლების გარდა, კაპიტალური ხარჯებისთვის 266.8 მლნ ლარი გათვალისწინებულია სხვა ხარჯების მუხლში, ხოლო 300,0 მლნ ლარი გრანტების მუხლში, რისი გათვალისწინებითაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა 3,0 მლრდ ლარს აღემატება, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 24,8%, ხოლო მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების მთლიანი მოცულობის 26,7%-ია.

ვალდებულებების კლება შეადგენს 933.9 მლნ ლარს, საიდანაც 893.8 მლნ ლარი მიმართული იქნება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 40.1 მლნ ლარი - საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების და დავალიანების დაფარვაზე.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით იზრდება 73.9 მლნ ლარით და შეადგენს 3 937.0 მლნ ლარს (ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 30.3%). ბიუჯეტის პროექტით სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნების ზრდა გამოწვეულია ძირითადად:
    - სოციალურად დაუცველი ოჯახების 16 წლამდე ბავშვებისათვის 50 ლარიანი სოციალური დახმარების პაკეტის შემოღებით, კერძოდ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებში, რომელთა სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე და 16 წლამდე ბავშვები ცხოვრობენ, შემოღებულ იქნება ბავშვების 50 ლარიანი ყოველთვიური დახმარება, რომლის ფარგლებში 20 ლარი (დღეს არსებული 10 ლარის ჩათვლით) იქნება ფულადი სარგებელი, ხოლო 30 ლარი - კვების ვაუჩერი - 70 მლნ ლარამდე;

შესაბამისად, სამინისტროს ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის - 2 763.7 მლნ ლარი, საიდანაც 1 925.0 მლნ ლარი მიიმართება მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია პენსიის 20 ლარით ზრდა 2019 წლის პირველი იანვრიდან;
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის - 1 044.6 მლნ ლარამდე; მათ შორის:
    - *მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამისთვის - 754.0 მლნ ლარი;*
    - *იმუნიზაცია - 22.4 მლნ ლარი;*
    - *C ჰეპატიტის მართვის პროგრამა - 11.0 მლნ ლარი;*
    - *ტუბერკულოზის მართვა - 15.7 მლნ ლარამდე;*
    - *აივ ინფექცია/შიდსის პროგრამა - 12.5 მლნ ლარზე მეტი;*
    - *ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა - 12,2 მლნ ლარი (გაზრდილია 3,0 მლნ ლარით);*
    - *დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია - 36.3 მლნ ლარი;*
    - *ფსიქიკური ჯანმრთელობა - 24.0 მლნ ლარი (გაზრდილია 3,0 მლნ ლარით);*
    - *დიაბეტის მართვა - 13.5 მლნ ლარი;*
    - *სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება - 44.7 მლნ ლარი;*
    - *სოფლის ექიმი - 26.0 მლნ ლარი;*
    - *რეფერალური მომსახურება - 20.0 მლნ ლარი;*
    - *ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 20.0 მლნ ლარი (გაორმაგდა პროგრამის დაფინანსება) და სხვა;*
- სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვისათვის - 20.0 მლნ ლარი;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისათვის ჯანდაცვის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულია 42,7 მლნ ლარი,

    აღსანიშნავია, რომ ამავე მიზნობრიობით საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულია 50,0 მლნ ლარი, შესაბამისად დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი ჯამური თანხა შეადგენს 92,7 მლნ ლარს.

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 1 965.0 მლნ ლარი, რაც 139.8 მლნ ლარით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
    - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის - 1 377.1 მლნ ლარი, მათ შორის თანხები მიიმართება შემდეგი საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე:
        - *მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა - 135.0 მლნ ლარი;*
        - *აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-რიკოთის მონაკვეთი – 100.0 მლნ ლარი;*
        - *რიკოთის გვირაბი - არგვეთის მონაკვეთი - 317,9 მლნ ლარი*
        - *სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთი - 100.0 მლნ ლარი;*
        - *ბათუმის ახალი შემოვლითი გზა - 70.0 მლნ ლარი;*
        - *გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა - 58.5 მლნ ლარი;*
        - *ქუთაისის შემოვლითი საავტომობილო გზის მეორე ზოლი - 54.0 მლნ ლარი;*
        - *ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია - 28.5 მლნ ლარი;*
        - *სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა - ბაწარა - ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა - 20.0 მლნ ლარი;*
        - *ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია - 20.0 მლნ ლარი;*
        - *ანაკლიის პორტთან მისასვლელი საავტომობილო გზის და რკინიგზის მშენებლობა - 20 მლნ ლარი;*
        - *ზემო იმერეთი (საჩხერე) - რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა - 15 მლნ ლარი;*
        - *ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია - 13.0 მლნ ლარი.*

    - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 254.1 მლნ ლარი, მათ შორის:
        - *მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (ADB) - 80.0 მლნ ლარი;*
        - *საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB) - 70.0 მლნ ლარი;*
        - *რეგიონალური განვითარების პროექტი (კახეთი, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) - ჯამში 38.5 მლნ ლარი;*
        - *რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი - 13.0 მლნ ლარი;*
        - *საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი - 10.0 მლნ ლარი;*
    - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 225.5 მლნ ლარი, მათ შორის 2019 წელს განხორციელდება:
        - *რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები - 25.0 მლნ ლარი, მათ შორის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში წყლის ხელოვნური რეზერვუარის მშენებლობა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;*
        - *ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა - 160.0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია (მესტია, ანაკლია, ურეკი, ფოთი, ზუგდიდი, ჯვარი, ჭიათურა, გუდაური, ბაკურიანი, ბოლნისი, მარნეული), ასევე ქუთაისის და*

თელავის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია და აბაშის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია;

- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისთვის გათვალისწინებულია 50.0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

  ჯანდაცვის სამინისტროში გათვალისწინებულ თანხასთან ერთად, დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ჯამში მიიმართება 92,7 მლნ ლარი.

- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით იზრდება 37.7 მლნ ლარით და შეადგენს 1 522,7 მლნ ლარს, მათ შორის:
  - სკოლამდელი და ზოგადი განათლების დასაფინანსებლად - 739.6 მლნ ლარამდე, მათ შორის:
    - *ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - 617.2 მლნ ლარი;*
    - *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - 11.7 მლნ ლარამდე;*
    - *უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა - 15.7 მლნ ლარზე მეტი;*
    - *მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - 19.0 მლნ ლარამდე;*
    - *საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 22.5 მლნ ლარი*
    - *პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი" – 25.1 მლნ ლარი და სხვა;*
  - პროფესიული განათლების დასაფინანსებლად - 48.7 მლნ ლარამდე;
  - უმაღლესი განათლების დასაფინანსებლად - 168.8 მლნ ლარზე მეტი;
  - მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისთვის - 65.5 მლნ ლარი;
  - ინკლუზიური განათლების პროგრამის დასაფინანსებლად - 17.7 მლნ ლარზე მეტი;
  - სამინისტროს სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის - 171.0 მლნ ლარზე მეტი, მათ შორის:
    - *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის - 120.0 მლნ ლარი (მიმდინარე წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 100%-ით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით 30 მლნ ლარით);*
    - *პროფესიული საგანანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის -18.0 მლნ ლარი (მიმდინარე წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია2,6-ჯერ);*
    - *უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის - 5.0 მლნ ლარი;*
    - *კულტურაში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერისთვის - 12.5 მლნ ლარი;*
    - *სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერისთვის - 10.3 მლნ ლარი;*
  - კულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის - 67.4 მლნ ლარზე მეტი, მათ შორის:
    - *ხელოვნების განვითარებისთვის - 54.6 მლნ ლარი;*
    - *კულტურის ხელშეწყობისთვის - 12.8. მლნ ლარი;*
  - კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფისთვის - 21.0 მლნ ლარზე მეტი;
  - მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების და პოპულარიზაციის დასაფინანსებლად - 109.2 მლნ ლარი, მათ შორის:
  - ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებებისთვის - 5.4 მლნ ლარი;
  - კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად - 21.2 მლნ ლარი, მათ შორის 13,0 მლნ ლარი გათვალისწინებულია 2019 წლის განმავლობაში სპორტის სხვადასხვა სახეობებში

მიღწეული წარმატებების შესაბამისად სპორტსმენთა, მწვრთნელთა და საექიმო პერსონალის დაჯილდოებისთვის.

2018 წელთან შედარებით, საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში (დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების გამოკლებით) გაზრდილია 160,3 მლნ ლარის ოდენობით. ბიუჯეტის განხილვების პროცესში გაგრძელდება კონსულტაციები, როგორც მთავრობის სტრუქტურებს შორის, ასევე პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან, მათ შორის გაიწერება განათლების რეფორმის ფარგლებში 2019-2022 წლებში განსახორციელებელი ღონისძიებები და ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში შესაძლებელია განხორციელდეს გარკვეული კორექტირებები.

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 34.2 მლნ ლარით და შეადგენს 332,3 მლნ ლარს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
  - სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობისთვის - 68.1 მლნ ლარი, საიდანაც აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია პირველ წარდგენასთან შედარებით დამატებით 10 მლნ ლარი და შეადგენს 45.0 მლნ ლარს;
  - მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისთვის - 14.0 მლნ ლარზე მეტი (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაიზარდა 3 მლნ ლარით);
  - ერთიანი აგროპროექტის დასაფინანსებლად - 97.1 მლნ ლარი (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაიზარდა 7.5 მლნ ლარით), მათ შორის:
    - *შეღავათიანი აგროკრედიტებისთვის - 49.0 მლნ ლარი;*
    - *დანერგე მომავალის დასაფინანსებლად - 13.0 მლნ ლარი;*
    - *სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსებისთვის - 14.0 მლნ ლარი;*
  - სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის - 76.7 მლნ ლარი;
  - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად - 6.5 მლნ ლარი (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაიზარდა 2 მლნ ლარით);
  - გარემოსდაცვითი ზედამხედველობისთვის - 11.3 მლნ ლრი;
  - დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვისთვის - 11.5 მლნ ლარი (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაიზარდა 700 ათასი ლარით);
  - სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვისთვის - 15.0 მლნ ლარი (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაიზარდა 5 მლნ ლარით);

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნება ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაიზარდა 20 მლნ ლარით და შეადგენს 344.7 მლნ ლარზე მეტს, მათ შორის მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საკრედიტო საგარანტიო მექანიზმის ამოქმედებისათვის 20 მლნ ლარი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 91.0 მლნ ლარს;
- იუსტიციის სამინისტროსთვის გამოყოფილია 186.4 მლნ ლარი (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით სამინისტროს გაიზარდა 1,5 მლნ ლარით);
- საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილია 136.5 მლნ ლარი (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით სამინისტროს ასიგნება გაიზარდა 9.5 მლნ ლარით, მათ შორის ახალი საელჩოების/საკონსულოების გახსნასთან დაკავშირებით - 4 მლნ ლარამდე);
- თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილია 870.0 მლნ ლარი (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით სამინისტროს ასიგნება გაიზარდა 80 მლნ ლარით
- შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილია 644.0. მლნ ლარი (ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით სამინისტროს ასიგნება გაიზარდა 500 ათასი ლარით,;

გათვალისწინებულია მიმდინარე წელს განხორციელებული, დაბალი რანგის პოლიციელთა ხელფასების ზრდის (საშუალოდ 250,0 ლარით) სრული დაფინანსება, ასევე პირველი იანვრიდან გათვალისწინებულია სასაზღვრო პოლიციაში დაბალი რანგის პოლიციელთა ხელფასების ზრდა (საშუალოდ 250,0 ლარით);

- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 136.0 მლნ ლარი;

  6,0 მლნ ლარამდე გათვალისწინებულია დაბალი რანგის მოსამსახურეთა ხელფასების 250,0 ლარით ზრდისთვის, ასევე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანხები გათვალისწინებულია გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის სისტემის შექმნის ნაწილობრივ დასაფინანსებლად;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 87.6 მლნ ლარი, მათ შორის 5,5 მლნ ლარი გათვალისწინებულია მეხანძრეებისა და მაშველების ხელფასების ზრდისთვის;
- საქართველოს პროკურატურისთვის გათვალისწინებულია 36.0 მლნ ლარი;
- საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გათვალისწინებულია 55.5 მლნ ლარი;
- სახალხო დამცველის აპარატისთვის გათვალისწინებულია 6,4 მლნ ლარი;
- იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 6,4 მლნ ლარი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისთვის გათვალისწინებულია 2.0 მლნ ლარი, თუმცა აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით 2019 წლიდან იზრდება ინსპექტორის ფუნქციები და შესაბამისად აუცილებელი იქნება ინსპექტორის აპარატისთვის დამატებითი თანხების გამოყოფა. ამ ეტაპზე აპარატის წარმომადგენლებთან მიმდინარეობს კონსულტაციები და პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში გათვალისწინებული იქნება აპარატის ფუნქციების განსახორციელებლად საჭირო თანხები;

საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მთლიანი მოცულობა შეადგენს 2 257.5 მლნ ლარს, მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 1 230.0 მლნ ლარი;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 324.0 მლნ ლარი
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის გათვალისწინებულია 280.0 მლნ ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამა;
- „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებულია 20.0 მლნ ლარი;
- მთავრობის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 50,0 მლნ ლარით;
- პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 5,0 მლნ ლარით;
- დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება 90.0 მლნ ლარით განისაზღვრა;
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების ფარგლებში გათვალისწინებულია მათ შორის:
  - *თბილისის ავტობუსების პროექტების დაფინანსება - 130,0 მლნ ლარი;*
  - *თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის დაფინანსება 20,0 მლნ ლარი;*
- ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები განისაზღვრა 28.7 მლნ ლარით;

  2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში წარმოდგენილია ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც იცვლება მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტებისთვის აღარ იარსებებს გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ ეკონომიკის ზრდის პარალელურად მუდმივად მზარდი იქნება მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსავლები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ დამოუკიდებლობას.

არსებული სისტემის შენარჩუნების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტების დაფინანსება (საშემოსავლო გადასახადი და გათანაბრებითი ტრანსფერი) 2019 წელს იქნებოდა 900,6 მლნ ლარი (ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მუნიციპალიტეტების გარდა), რაც 2018 წლის მაჩვენებელზე 61,9 მლნ ლარით მეტია. დაფინანსების ახალი სისტემის მიხედვით აღნიშნული მუნიციპალიტეტების დაფინანსება შეადგენს 946,6 მლნ ლარს, რაც 2018 წლის მოცულობაზე 107,9 მლნ ლარით მეტი, ხოლო ძველი სისტემით გაანგარიშებულ 2019 წლის მოცულობაზე 46,0 მლნ ლარით მეტია.

მუნიციპალიტეტების დასახელება	**დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება**	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	**დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	50.01%	473,415.2
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	5.07%	47,953.6
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	0.98%	9,304.0
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	0.68%	6,410.9
ქედის მუნიციპალიტეტი	0.65%	6,110.3
შუახევის მუნიციპალიტეტი	0.03%	250.0
ხულოს მუნიციპალიტეტი	0.23%	2,170.0
ახმეტის მუნიციპალიტეტი	0.70%	6,585.6
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	0.91%	8,609.1
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	0.15%	1,384.9
თელავის მუნიციპალიტეტი	1.42%	13,435.3
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	0.93%	8,841.3
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	0.83%	7,855.6
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	0.40%	3,769.4
ყვარლის მუნიციპალიტეტი	0.43%	4,096.3
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	3.48%	32,935.3
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	0.79%	7,494.1
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	0.38%	3,602.8
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	0.83%	7,881.3
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	0.54%	5,071.1
ვანის მუნიციპალიტეტი	0.67%	6,381.8
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	0.93%	8,787.3
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	0.81%	7,648.1
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	0.74%	7,007.6
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1.03%	9,772.3
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	0.52%	4,947.8
ხონის მუნიციპალიტეტი	0.69%	6,524.0
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	0.36%	3,398.5
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2.42%	22,888.2
აბაშის მუნიციპალიტეტი	0.57%	5,388.6
მარტვილის მუნიციპალიტეტი	0.80%	7,526.0
მესტიის მუნიციპალიტეტი	0.35%	3,346.4
სენაკის მუნიციპალიტეტი	0.69%	6,545.8

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	0.55%	5,195.0
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	0.63%	5,991.7
ხობის მუნიციპალიტეტი	0.34%	3,250.0
გორის მუნიციპალიტეტი	3.01%	28,511.0
კასპის მუნიციპალიტეტი	0.60%	5,682.5
ქარელის მუნიციპალიტეტი	0.95%	9,032.0
ხაშურის მუნიციპალიტეტი	1.04%	9,863.5
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	2.28%	21,562.9
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	0.09%	875.0
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	0.20%	1,875.0
დმანისის მუნიციპალიტეტი	0.52%	4,939.0
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	0.53%	4,993.3
მარნეულის მუნიციპალიტეტი	1.23%	11,629.8
წალკის მუნიციპალიტეტი	0.15%	1,404.5
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	0.74%	6,980.8
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1.41%	13,313.8
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	0.32%	3,021.8
ადიგენის მუნიციპალიტეტი	0.45%	4,300.6
ასპინძის მუნიციპალიტეტი	0.07%	662.5
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	0.07%	650.0
ახალციხის მუნიციპალიტეტი	0.91%	8,638.8
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	0.10%	975.0
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	0.29%	2,788.4
დუშეთის მუნიციპალიტეტი	0.51%	4,823.6
თიანეთის მუნიციპალიტეტი	0.44%	4,121.0
მცხეთის მუნიციპალიტეტი	0.44%	4,131.3
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	0.01%	87.5
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	0.73%	6,931.4
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	0.36%	3,454.4
ონის მუნიციპალიტეტი	0.39%	3,715.5
ცაგერის მუნიციპალიტეტი	0.62%	5,840.5
სულ	**100.00%**	**946,580.0**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 1 457.1 მლნ ლარი (მშპ-ს 3.2%);*
- *თავდაცვა - 897.2 მლნ ლარი (მშპ-ს 2.0%);*
- *საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 128.7 მლნ ლარი (მშპ-ს 2.5%);*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 2 176.5 მლნ ლარი (მშპ-ს 4.8%);*
- *გარემოს დაცვა - 95.5 მლნ ლარი (მშპ-ს 0.2%);*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 104.0 მლნ ლარი (მშპ-ს 0.2%);*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 1 146.8 მლნ ლარი (მშპ-ს 2.5%);*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია -297.2 მლნ ლარი (მშპ-ს 0.7%);*
- *განათლება - 1 331.9 მლნ ლარი (მშპ-ს 3.0%);*

- *სოციალური დაცვა - 3 029.1 მლნ ლარი (მშპ-ს 6.7%);*

ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

- ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (2019-2022 წლები);
- 2015-2022 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (როგორც საბაზო, ასევე ოპტიმიტური და პესიმისტური სცენარები). აღნიშნულ ინფორმაციაში 2019 წლის ბიუჯეტთან ერთად პირველად იქნა წარმოდგენილი სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის ფისკალური მაჩვენებლები;
- ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების განახლებული საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება წინა პროგნოზებთან;
- პროგრამული ბიუჯეტის დანართი;
- კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
- ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ, სადაც ამ ეტაპზე გაანალიზებულია მხოლოდ მაკროეკონომიკური რისკები და მათი შესაძლო გავლენა ბიუჯეტზე. წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია სახელმწიფო კომპანიებზე და მათგან მომდინარე შესაძლო პირობით ვალდებულებებზე, ვინაიდან კომპანიების აუდირებული დასკვნები ხელმისაწვდომი იქნება პირველი ოქტომბრის შემდგომ და კომპანიებში არსებული სიტუაციის გაანალიზება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკურ მისიასთან ერთად დაიწყება აღნიშნული დასკვნების მიღების შემდგომ. ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიასთან ერთად წარმოდგენილი იქნება ფისკალური რისკების სრულყოფილი დოკუმენტი;
- ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ;
- მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი (2019-2028 წლები);
- ინფორმაცია ცენტრალური ბიუჯეტის შესახებ და ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ;

ამ ეტაპზე წარმოდგენილია „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მეორე ვერსია. კანონპროექტის განხილვა გაგრძელდება საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში, ასევე საქართველოს სამინისტროების წარმომადგენლებთან.
განხილვების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად მომზადდება კანონპროექტის საბოლოო ვერსია, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

_ კანონის პროექტი განსაზღვრავს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

_ კანონის პროექტი განსაზღვრავს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს;

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

_ კანონის პროექტი განსაზღვრავს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება

_

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

–

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

–

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებულ ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ;

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.